KONRAD ADENAUER STIFTUNG

EAGLE EYE TALKS

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

კონრად ადენაუერის ფონდი (KAS) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)

COVID-19-ის ეპოქა და

საინვესტიციო პერსპექტივები

სარჩევი

შესავალი 5

რა ფაქტორები ქმნის ხელსაყრელ გარემოს ინვესტიციებისთვის? 5

საქართველოს ინვესტიციების დინამიკა 6

საქართველოს საინვესტიციო გარემოს გამოწვევები და უპირატესობები 10

ახალი კორონა ვირუსის პანდემია და საინვესტიციო პერსპექტივები 12

დასკვნა და რეკომენდაციები 13

პროექტის და პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ

2019 წელს **კონრად ადენაუერის ფონდმა (KAS) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC)** დააფუძნეს ეკონომიკური დისკუსიის პლატფორმა, **KAS EPRC ეკონომიკური არენა.** პლატფორმა არის გრძელვადიანი ინიციატივა, რომლის მიზანია მოხდეს ეკონომიკურ და სოციალურ თემებზე კვლევაზე დაფუძნებული დისკუსიის ინიცირება. KAS EPRC ეკონომიკური არენა შესაძლებლობას აძლევს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე მხარეებს წარმოადგინონ არგუმენტირებული პოზიციები ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ თემებზე და მოხდეს მათი განხილვა ექსპერტული და საქმიანი პოზიციებიდან.

პლატფორმა სთავაზობს ხელისუფლებას და საზოგადოებას ანალიტიკურ დოკუმენტებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ ინიცირებული და, ზოგ შემთხვევაში, უკვე მიღებული გადაწყვეტილებების კონკრეტული შედეგები და ეფექტი.

პლატფორმის ფარგლებში, 2020 წლის 30 ივნისს გაიმართა დისკუსია სახელწოდებით: „კორონავირუსის ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები“, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს, მასთან დაკავშირებით არსებულ შესაძლებლობებს და გამოწვევებს და კორონავირუსის ფონზე შექმნილ ახალ რეალობას. დისკუსიას მოდერირება გაუწია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ევგენიძემ. მომხსენებელთა შორის იყვნენ: გიორგი ჩერქეზიშვილი - საქართველოს ინვესტორთა საბჭოს მდივანი, გიორგი პერტაია - საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი და ლექსო ალექსიშვილი - PMGC გენერალური დირექტორი.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში არასტაბილური დინამიკით ხასიათდება. 2017 წელს ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა შემდგომი წლების მაჩვენებლები სტაბილური კლებით ხასიათდება. განსაკუთრებული ვარდნით გამოირჩევა 2018 და 2019 წლები, როცა დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. შესაბამისად, საინვესტიციო შემოდინებების კლება ჯერ კიდევ კორონავირუსის გამოჩენამდე დაიწყო, 2020 წელი და პანდემია კი მთელი მსოფლიოსთვის და, შესაბამისად საქართველოსთვისაც, დამატებითი საინვესტიციო გამოწვევებით აღინიშნა.

საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლით, ზიანი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას Covid-19-ის გავრცელებამ მიაყენა, მძიმე ნეგატიურ გავლენას იქონიებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეც. 2020 წლისთვის მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მინიმუმ 30%-ით შემცირებას პროგნოზირებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). ინვესტიციები კიდევ უფრო მეტად შემცირდება განვითარებად ქვეყნებში. 2020 წლის პირველი ნახევრის ვარდნის შემდეგ, ყველაზე პოზიტიური პროგნოზის შემთხვევაშიც კი, 2021 წლამდე არსებული საინვესტიციო მოცულობა ვერ აღდგება. კიდევ უფრო მძიმე შედეგებს ვარაუდობს გაერო, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30-40% შემცირებას ელოდება. სექტორების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 208%-ით შემცირდება ენერგო და ნედლეულის მწარმოებელ სექტორში, 116%-ით ავიაციის სექტორში და 47%-ით ავტო ინდუსტრიაში.

ეს მოცემულობა კიდევ უფრო ზრდის კონკურენციას ინვესტიციების საერთაშორისო ბაზარზე. საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევის გაწევა მოუწევს, რომ საინვესტიციო გარდატეხა მოახდინოს და ისედაც შეზღუდული უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვა შეძლოს.

რა ფაქტორები ქმნის ხელსაყრელ გარემოს ინვესტიციებისთვის? - პირველ რიგში სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კერძო საკუთრების დაცულობა, სამართლიანი სასამართლო, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე და ის განსაკუთრებულობა, რომელიც კონკრეტულად ქვეყანას შეუძლია შესთავაზოს ინვესტორს. ამ ყველაფერში, ცხადია, უკანასკნელი ადგილი არ უკავია მსოფლიო საინვესტიციო ბაზარზე შექმნილ კონიუნქტურას.

საქართველოს ინვესტიციების დინამიკა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, საქართველოში 2008 წლის მსოფლიო კრიზისის და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2010-2014 წლებში ინვესტიციები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2015-2016 წლებში ვარდნა დაიწყო, რასაც 2017 წელს მოჰყვა ინვესტიციების პიკური მაჩვენებელი - ინვესტიციების ოდენობამ თითქმის 2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც საქართველოს ისტორიული მაქსიმუმია (ინვესტიციების აღრიცხვა 1997 წლიდან ხორციელდება) და ძირითადად განაპირობა აზერბაიჯანიდან განხორციელებულმა ინვესტიციამ შაჰ-დენიზის გაზსადენის მაგისტრალის მშენებლობისთვის. 2018 წლიდან ინვესტიციები კვლავ შემცირდა და 2014 წლის მაჩვენებელზე ბევრად ნაკლებ მოცულობასაც მიაღწია. ხოლო, კორონავირუსის ეპოქა ინვესტიციების მაჩვენებელზე კიდევ უფრო უარყოფითად აისახა, 2020 წლის პირველ კვარტალში 42 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა (გრაფიკი 1).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში

(მლნ. აშშ დოლარი)



გრაფიკი 1

წყარო: საქსტატი

გარდა ნომინალური ციფრებისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის წილს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წელიწადში ყველაზე არასახარბიელო მაჩვენებელი 2012-2013 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ინვესტიციებმა მშპ-ს 5.8% შეადგინა. 2014 წლიდან ინვესტიციები მშპ-ის

მიმართ იზრდება და ყველაზე მაღალ ნიშნულს - 11.4%-ს 2016 წელს და 12%-ს 2017 წელს მიაღწია. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, 2015-2016 წლებში დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ინვესტიციებთან ფარდობის ზრდას. ამასთან, 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპ-სთან მიმართებით 7.1% შეადგინა.

ოფიციალური წყაროები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების შემდეგ მიზეზებს ასახელებენ: ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე მსხვილი საწარმო გადავიდა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ შემცირდა ვალდებულები (სასესხო დავალიანების დაფარვა)[1], თუმცა ამ მიზეზების გარდა, შემცირების მთავარი გამომწვევი იყო მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება. შაჰ-დენიზის პროექტის დასრულებამ აზერბაიჯანიდან მიღებული ინვესტიციების თითქმის განახევრება გამოიწვია.

იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ახალი დიდი საინვესტიციო პროექტები აღარ დაწყებულა და ვერც ეკონომიკა იზრდება იმ ტემპებით, რომ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა მოახდინოს, შედეგად მივიღეთ ინვესტიციების კლება.

ამას ემატება დემოკრატიის, სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისა და ინვესტიციების დაცულობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები[2]. ბოლო პერიოდში საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული ზიანი საერთაშორისო არენაზე მიაყენა იმ ბუნდოვანებამ, რაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის გარშემო განვითარდა. ანაკლიის პორტის მშენებლობის საინვესტიციო ვალდებულება ანაკლიის კონსორციუმმა აიღო და მისი მთავარი პარტნიორი და 42%-იანი წილის მფლობელი ამერიკული კომპანია „კონტი ჯგუფი“ იყო. ანაკლიის პორტი საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობის, უსაფრთხოების და დასავლელ პარტნიორებთან გაღრმავებული ინტეგრაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენდა, დღეს კი მისი ბედი კითხვის ქვეშ დგას.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადებით, პორტის მშენებლობის შეჩერების მიზეზად ინვესტორების მხრიდან საინვესტიციო ვალდებულებებისა და ვადების შეუსრულებლობა სახელდება. თუმცა, აღსანიშნავია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების არაერთი მოწოდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შეჩერების საკითხზე.[3] ამ მხრივ, განსაკუთრებით მკაცრი განცხადება საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრთან (მამუკა ბახტაძესთან) შეხვედრის დროს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ გააკეთა: „მე გამოვხატე იმედი, რომ საქართველო ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს დაასრულებს. მისი განხორციელება გააძლიერებს საქართველოს კავშირს თავისუფალ ეკონომიკებთან და არ მისცემს საქართველოს საშუალებას მოექცეს რუსეთის და ჩინეთის ეკონომიკური გავლენის ქვეშ“.[4] ფაქტია, რომ დასავლელი პარტნიორების მრავალი მოწოდებებისა და მკაცრი განცხადებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება პორტის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით არ შეცვლილა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი განსაკუთრებულ ზიანს აყენებს საქართველოს, როგორც მიმზიდველი და საიმედო საინვესტიციო ქვეყნის იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზე, და უფრო მეტიც, ბადებს საფუძვლიან ეჭვებსა და კითხვებს საქართველოს დასავლური ფასეულობების გაზიარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის კუთხით. ამ ეჭვებს კი ისიც ამყარებს, რომ სახელისუფლებო წრეებში აქტიურად საუბრობენ, რომ ანაკლიის პორტი უფრო გეოპოლიტიკური მნიშვნელობის პროექტია და ნაკლები ეკონომიკური სარგებლის მომტანი ქვეყნისთვის.

1 https://bit.ly/38RtKbu

2 https://econ.st/3ft3Mxw

3 https://bit.ly/2DzpfGQ

4 https://bit.ly/307OW91

ინვესტიციები სექტორების და ქვეყნების მიხედვით

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სექტორული ანალიზის დროს აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტ ინვესტიციას საფინანსო სექტორი იზიდავს (20.6% - 2019 წელს და 57.4%- 2020 წლის პირველ კვარტალში) და ეს ტენდენცია წლებია გრძელდება, რაც ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ საქართველოში აღნიშნული სექტორი ყველაზე უკეთ არის განვითარებული. რეგიონების მიხედვით, ლიდერია თბილისი, სადაც მთლიანი ინვესტიციების 63%-ია განხორციელებული.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019* წელს



გრაფიკი 2

წყარო: საქსტატი

რაც შეეხება ძირითად ინვესტორებს, სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2019 წლის მონაცემებით, 48.7% შეადგინა და ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: გაერთიანებული სამეფო- 19.5%, თურქეთი - 18.7% და ირლანდია - 10.5%. ქვეყნების პროცენტული სტრუქტურა განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ასახულია გრაფიკ N3-ში.



გრაფიკი 3

წყარო: საქსტატი

ამასთან, საქართველოს ძირითადი ინვესტორი ქვეყნების ანალიზის დროს აღსანიშნავია ოფშორიდან განხორიცელებული ინვესტიციები. ინვესტიციების ოფიციალური სტატისტიკიდან რთულია გაიმიჯნოს ზუსტად რა მოცულობის ინვესტიციები შემოდის ოფშორებიდან. მითუმეტეს, როცა მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია აღრიცხული ქვეყნების მიხედვით და სხვა სახის ინვესტიციებზე მსგავსი ინფორმაცია არ მოიპოვება. ოფიციალური სტატისტიკით, 2010-2018 წლებში ოფშორული ტერიტორიების მქონე ქვეყნებიდან საქართველოში 5 მლრდ დოლარამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც ამ პერიოდის მთლიანი ინვესტიციების 38%-ია. ყველაზე მეტი ნიდერლანდებიდან, ირლანდიიდან და გაერთიანებული სამეფოდან შემოვიდა, ჯამში 3 მლრდ დოლარი.

ნიდერლანდებიდან, ირლანდიიდან და გაერთიანებული სამეფოდან შემოსული ინვესტიციები სრულად ოფშორული სტატუსის მქონე კომპანიებს არ მიეკუთვნება, თუმცა, რთულია გამიჯვნა, რამდენია არაოფშორული ინვესტიცია. ცალსახად ოფშორული ტერიტორიებიდან პანამა ლიდერობს 300 მლნ დოლარით, შემდეგ მოდიან მალტა 239 მლნ დოლარით, ვირჯინიის კუნძულები - 96 მლნ დოლარით, ბელიზი - 64 მლნ დოლარით და ა.შ. (წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო).

არსებობს მოსაზრება, რომ მთავარია ფული შემოვიდეს ქვეყანაში და მის წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ეს საკმაოდ პრობლემური მიდგომაა, რადგან ხშირად, შესაძლოა, ოფშორიდან შემოსული ფულის უკან სხვადასხვა კორუფციული გარიგებები და კონკეტული პირების ბიზნეს ინტერესები იმალებოდეს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ყოველივე ზემოაღნიშნული, თუ ქვეყნის უმსხვილეს ინვესტორებს შორის ფიქსირდება ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიები, რაც ამუამინდელ საქართველოს საინვესტიციო რეალობას ასახავს.

იმის გათვალისწინებით, რომ ოფშორების გარშემო ბევრი კითხვაა, მნიშვნელოვანია, უკეთ იყოს გააზრებული, რა არის ოფშორი, რატომ იყენებენ მას, რა კავშირშია საქართველო ოფშორებთან და რა დამოკიდებულებაა ოფშორების მიმართ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში.

ბოლო წლებში განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად განიხილავენ ოფშორებიდან მომავალი რისკების შემცირების შესაძლებლობებს და თანდათან მკვიდრდება ოფშორული კომპანიების მფლობელთა გამჟღავნების მაღალი სტანდარტი, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის ერთ-ერთი რეკომენდაციაა. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება საქართველოსთვისაც მიზანშეწონილია და სასურველია შემუშავდეს გარკვეული წესები ოფშორულ კომპანიებთან მიმართებით, განსაკუთრებით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს გამოწვევები და უპირატესობები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებული ნებისმიერი ქვეყანა უნდა სთავაზობდეს პოტენციურ ინვესტორს სხვა ქვეყნებზე მეტად მიმზიდველ ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს. ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი და სახელისუფლებო წრეები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ მაქსიმალურად გახსნილი და ლიბერალური ეკონომიკური გარემოს შექმნით.

ამ კუთხით ქვეყნების საინვესტიციო საქმიანობას რამდენიმე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია იკვლევს და, ინდექსებზე დაყრდნობით, შესაბამის რეიტინგებს აქვეყნებს. აღნიშნულ რეიტინგებს შორის აღსანიშნავია ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) და ეკონომიკური თავისუფლების (Heritage Foundation) რეიტინგები, რომელთა ჩამონათვალში საქართველოს საკმაოდ მაღალი სარეიტინგო შეფასება აქვს. პირველ რეიტინგში, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, 2020 წელს საქართველო მსოფლიო რეიტინგში (190 ქვეყანას შორის) მე-7 ადგილზეა (ერთი პოზიციით გაუარესდა 2019 წელთან შედარებით და მე-6 პოზიციიდან მე-7-ზე გადაინაცვლა), ხოლო მეორეში მსოფლიო მასშტაბით (180 ქვეყანას შორის) მე-12 ადგილზეა და რჩება უმეტესად თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში.

როგორც ციფრებიდანაც ჩანს, ორივე რეიტინგის მიხედვით, საქართველო ძირითად ათეულსა და ოცეულში შედის, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს რეიტინგები არ ასახავს და შეფასების მიღმა ტოვებს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობისა და მასთან დაკავშირებულ რიგ საფრთხეებს. ასევე, რეიტინგებში ასახული არ არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, 12 წლის წინ ქვეყანას ომი ჰქონდა რუსეთთან და მას შემდეგ ფაქტობრივად უწყვეტი აგრესიის ქვეშაა. რუსეთის ფაქტორი და ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია საქართველოს ბიზნეს-გარემოსთვის და შესაბამისად ინვესტორთა მოზიდვის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ ხშირად აპელირებს. შესაბამისად, ისეთი ალიანსების წევრობა, როგორიც მაგალითად ნატოა, მნიშვნელოვანი მიზანია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და საინვესტიციო თვალსაზრისითაც. თუმცა, თუ 2008 წლის, ანუ ომის შემდგომი წლების საინვესტიციო ზრდას გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ რუსეთის არგუმენტი ყოველთვის არ მუშაობს და სხვა ფაქტორები, მათ შორის სტაბილური დემოკრატიული განვითარების გეზი და რეფორმები შეიძლება კარგი წინაპირობა იყოს საინვესტიციო ინტერესის მოსაზიდად.

შემდეგ შეიძლება განვიხილოთ დემოკრატიის მხრივ არსებული პრობლემები. ჟურნალ The Economist-ის დემოკრატიის ინდექსის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 89-ე ადგილს იკავებს და ჰიბრიდულ რეჟიმად არის მიჩნეული. ინდექსის შეფასების კრიტერიუმებიდან საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა მთავრობის ფუნქციონირებასა და პოლიტიკურ კულტურაში აქვს.[5] რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

5 https://econ.st/3ft3Mxw

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-12 ადგილზეა, ამ ინდექსის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმით - ***საკუთრების უფლების დაცვით*** საქართველო მსოფლიოში 49-ე ადგილზეა. საიმედოდ დაცული საკუთრება კი ნებისმიერი ინვესტორისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ასევე ამცირებს ის გარემოება, რომ ქვეყანა ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ საქართველოს საკმაოდ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი იყოს ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თუმცა, გაუმართავი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა აქაც შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს. ამაზე საერთაშორისო რეიტინგებიც მეტყველებს, ინდექს მუნდის თანახმად ლოჯისტიკური წარმადობის კუთხით საქართველო 133-ე პოზიციაზეა, 2.35 ქულით, რაც საშუალოზე დაბალია (სარეიტინგო ქულა ერთიდან ხუთამდე ითვლება, სადაც 5 უმაღლესი შეფასებაა).[6]

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს, არის კვალიფიციური მუშა-ხელის დეფიციტი.[7] აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ამყარებს 2019 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგი, რომლის თანახმად საქართველო საშუალო განათლების (სკოლის დამთავრება) დონის მიხედვით მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის მე-13 პოზიციაზეა, თუმცა კვალიფიციური სამუშაო ძალის, პროფესიული სწავლების, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ცოდნის, სამუშაო ძალაზე ხელმისაწვდომობის კუთხით 125-ე პოზიციას იკავებს. განსხვავება ამ ორ მონაცემს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ის ძალიან დიდ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის თვალსაზრისითაც.

საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან, ჩინეთსა და ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულთან) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც დამატებით ღირებულებას სძენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს. თუმცა, აქაც გარკვეულ წინაღობებს ვაწყდებით, რაც ნაკლებად განვითარებული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურით არის განპირობებული, რასაც ემატება საკვანძო სატრანსპორტო/ ტრანზიტული მნიშვნელობის პროექტის - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შეჩერება.

საქართველოს გააჩნია პოტენციალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაბად იქცეს, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალი ამ ეტაპზე სრულად ათვისებული არ არის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით კი ამ ორ ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო წლებში ლოჯისტიკური მომსახურების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მსოფლიოში რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოჯისტიკური მომსახურების მიმწოდებლების მიერ მაღალი ხარისხის ლოჯისტიკური სერვისის უზრუნველყოფა, რაც წარმოუდგენელია გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გარეშე.

ის ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებსა და ეფექტურ სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურას, ახერხებენ მოიზიდონ კომპანიები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ მაქსიმალურად სწრაფად აუწყოს ფეხი მსოფლიო ტენდენციებს და საკუთარი ნიშა დაიკავოს მსოფლიო სატრანსპორტო- ლოჯისტიკურ რუკაზე, რითაც დამატებით საინვესტიციო მიმზიდველობას შესძენს ქვეყანას.

6 https://bit.ly/3et8Ct4

7 https://bit.ly/3fryxmz

ამასთან, გარდა ხსენებული ფაქტორებისა და სექტორული გამოწვევებისა, საერთაშორისო დონორები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით კორონავირუსის ეპოქაში, ასახელებენ ორ ძირითად ფაქტორს: ინვესტორების დაცვა კანონმდებლობით და გამართული სასამართლო სისტემა.

ზუსტად ამ ორ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა პიტერ ვიბლერმა "ანალიტიკასთან" ინტერვიუში და აღნიშნა, რომ „პირველი: ინვესტორები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი ინვესტიცია დაცულია და არსებობს პერსპექტივა რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი ბიზნესი გაიზრდება და ისინი აქედან მოგებას ნახავენ, და მეორე: ინვესტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ თუ რაიმე ტიპის სამართლებრივი პრობლემა წამოიჭრება ან სამართლებრივი დავა გახდება საჭირო - ქვეყანაში არსებობს ძლიერი სასამართლო სისტემა, რომელიც პატივს სცემს საკუთრების უფლებას და კანონის უზენაესობას".

ეს ფაქტორები, რა თქმა უნდა არ წარმოადგენს სრულ ჩამონათვალს, თუმცა ასახავს ძირითად მიმართულებებს, რაც საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია და ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას სჭირდება. ამისთვის კი ყოველწლიურად უფრო მეტი ინვესტიცია უნდა შემოვიდეს, ვიდრე ბოლო წლებში შემოდიოდა და არსებულ გამოწვევებზე უნდა მოხდეს სწრაფი და მყისიერი რეაგირება, ინვესტორთათვის უფრო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შეთავაზების თვალსაზრისით.

ახალი კორონა ვირუსის პანდემია და საინვესტიციო პერსპექტივები

2020 წელი მსოფლიოსთვის ახალი საყოველთაო გამოწვევით დაიწყო, რომელიც კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება და მთელი სამყარო მოიცვა. პანდემიის მასშტაბმა და ინფექციის გავრცელების სწრაფმა ტემპმა წლის დასაწყისშივე განაპირობა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლა, რამაც არნახული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. იმის მიუხედავად, რომ პანდემიით მიყენებული ზუსტი ეკონომიკური ზარალი ჯერ დათვლილი არ არის და არც თვითონ ეპიდემიაა დამარცხებული, უდავოა, რომ 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპი მსოფლიოში. აღნიშნული კი განსაკუთრებით მტკივნეული იქნება განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის.

ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვა, ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება და მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების ჩაშლა ან გადადება გარკვეულწილად შეამცირებს ეკონომიკის ზრდის ტემპს. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები უკვე გამოქვეყნდა.

მათ შორის, სტატისტიკის სამსახურის 2020 წლის პირველი კვარტალის ინვესტიციების წინასწარი მონაცემებით, სახეზეა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ვარდნა. კონკრეტულად, 2020 წლის I კვარტალში ინვესტიციებმა 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის მონაცემებზე 41.7% ნაკლებია. ანგარიშში შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის ისევ სახელდება მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. არსადაა ნახსენები ის ზიანი, რაც კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა სტაგნაციამ განაპირობა.

განსაკუთრებით შემცირდა ინვესტიციები ტურიზმის სექტორში, სადაც წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, კლება 76%-ს შეადგენს. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები ტრანსპორტის სექტორში - 76%-ით, უმნიშვნელოდ, თუმცა ლოგიკურია, რომ გაიზარდა ინვესტიციები ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში (ზრდა 3%).

ზემოაღნიშნული ორი სექტორი - ტურიზმი და ტრანსპორტი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია, თუმცა პანდემიის ნეგატიურმა ეფექტმა ეს სექტორები ყველაზე მეტად დააზარალა.

ამასთან, მსოფლიო ასპარეზზე აუცილებლად მოხდება ჩინეთის ფაქტორის გადაფასება, იგი დიდი ალბათობით დაკარგავს მიმზიდველობას საწარმოო სიმძლავრეების გადატანის კუთხით, ვინაიდან ინვესტორები იაფი მუშა ხელისა და სხვა ეკონომიკური მახასიათებლების გარდა, ახალი რეალობის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების დროს შეაფასებენ ქვეყნების გამჭვირვალობას და კრიზიების მართვის უნარებს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და კორონავირუსის პანდემიის შედეგად დამდგარი ეკონომიკური ზიანის შეფასების ფონზე, KAS EPRC ეკონომიკური არენის ფარგლებში გამართული დისკუსიის დროს გამოიკვეთა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით არ უნდა შეჩერდეს რეფორმების გატარება. გარდა კორონა ვირუსით გამოწვეული სირთულეებისა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილია ახალი რეფორმის დაწყების, ან თუნდაც უკვე ინიცირებულის დაჩქარების კუთხით, თუმცა ვიწრო ჭრილში განსაკუთრებული აქცენტი კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე უნდა გაკეთდეს;

- მნიშნელოვანია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა - მათ შორის უკვე მომზადებული კანონის "საინვესტიციო ფონდების შესახებ" დამტკიცება და გადახდისუუნარობის კანონპროექტის შემუშავება, რაც გარდა ინვესტიციების მოზიდვისა, გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას საინვესტიციო ფონდებზე და ფინანსურ რესურსებზე;

- ინვესტიციების მოზიდვის კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ძლიერი მცირე და საშუალო სექტორის არსებობა. ამ მიმართულებით საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი განავითაროს და გააძლიეროს ეს სექტორი;

- მომსახურების სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა 5G-ზე გადასვლის დაჩქარება, რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივ და უცხოურ სტარტაპებს განახორციელონ ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ბიზნეს პროექტები;

- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული. აღნიშნულ გარემოებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებენ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებიც;

- საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის სპეციფიკური და გამორჩეული მახასიათებელია ქვეყნის სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა. აღნიშნული მოცემულობის მაქსიმალურად ხელსაყრელად უტილიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია გამართული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის არსებობა. რეკომენდაციის სახით კი სასურველია საქართველოში აშენდეს ლოჯისტიკური ცენტრი რომელიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს არა მხოლოდ ინვესტიციების და საწარმოების მოზიდვის თვალსაზრისით, არამედ სატრანსპორტო/ სატრანზიტო გადაზიდვების კუთხითაც;

- მართალია განათლების სისტემის გაუმჯობესება შედარებით გრძელვადიან შედეგებზეა ორიენტირებული, თუმცა მისი რეფორმირებისა და თანამედროვე შრომის ბაზარის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე წარმოუდგენელი იქნება საქართველოს სამომავლო საინვესტიციო პერსპექტივების წარმატებული პოზიციონირება. შესაბამისად, განათლების სისტემა მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული უზრუნველყოს მომავალი თაობის კვალიფიკაციის მაღალი დონე.

ყოველივე ზემოაღნიშნული რა საკვირველია არ წარმოადგენს სრულ ჩამონათვალს იმ ფაქტორებისა რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებაზე, თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში დღეს არსებული ვითარებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ხსენებული რეკომენდაციები მოიცავს ძირითად მიმართულებებს და გადამწყვეტ ფაქტორებს.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ექსპერტულ წრეებში აქტიურად განიხილება მოსაზრება ახალი კორონავირუსის გამოწვევების დამატებით შესაძლებლობებში გარდაქმნის შესახებ.

სწორედ აღნიშნულ შესაძლებლობებზე საუბრობს პროფესორი ფრენსის ფუკუიამა თავის ბოლო სტატიაში, რომელიც ჟურნალ „ამერიკულ ინტერესში“ გამოქვეყნდა: „ზოგადად შეერთებულმა შტატებმა და სხვა ლიბერალურმა დემოკრატიებმა ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირება უნდა დაიწყონ. პანდემიამ აჩვენა, რომ ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ჩინეთის მრეწველობაზე დამოკიდებულება კრიტიკულად მაღალ ნიშნულზეა. დღევანდელ მსოფლიოში უამრავი ადგილი მოიძებნება, სადაც მრეწველობის გადატანა შეიძლება, ფასის ფაქტორის გარდა დროა დავფიქრდეთ სანდოობაზე და მდგრადობაზე, რომელთა უზრუნველყოფა დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოდელებში უკეთესად ხერხდება.“ ამ თვალსაზრისით კი საქართველოს ნამდვილად წარმატებულად შეუძლია პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც ხელს უწყობს პანდემიასთან ბრძოლაში და კრიზისების მართვის კუთხით არსებული შედეგებიც.